

# საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი



## საინჟინრო ფაკულტეტი

საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება

მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

თბილისი  
2015

<b>პროგრამის სახელწოდება</b>	საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება
<b>სწავლების ენა</b>	ქართული
<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>	საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით</b>	<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 60 კრედიტის დაგროვებას. 1კრედიტი = 28 ასტრონომიულ საათს. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. სასწავლო კონპონენტებისათვის გათვალისწინებულია 36 კრედიტი (1008 სთ), მათ შორის: ა) დამოუკიდებელი მუშაობისათვის - 834 სთ; ბ)შუალედური შემონშებისა და დასკვნითი გამოცდებისათვის - 36სთ; სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის კომპონენტისათვის - 672სთ (24კრედიტი); მათ შორის: ა) დამოუკიდებელი მუშაობისათვის - 218 სთ; ბ)შუალედური შემონშებისა და დასკვნითი გამოცდებისათვის - 4 სთ; საფეხური შედგება ორი, (შემოდგომისა და გაზაფხულის), სემესტრისაგან და მოიცავს 40 სასწავლო კვირას. თითოეული სემესტრი შედგება 20 სასწავლო კვირისაგან.</p> <p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს არაუმეტეს 1 დამატებითი სემესტრის განმავლობაში.</p>
<b>ხელმძღვანელი</b>	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ასისტენტი ნოდარ ხვედელიძე

### I. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად „საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (V საფეხური) ორიენტირებულია საჰაერო ხომალდების და საავიაციო ძრავების ტექნიკური მომსახურების სფეროში ავიატექნიკოსების მომზადებაზე. აღნიშნული სპეციალობით პროფესიული სწავლების მიზანია:

- კურსდამთავრებულს მისცეს სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საჰაერო ხომალდების, საავიაციო ძრავების და სისტემების ტექნიკური მომსახურების მიმართულებით, კერძოდ, შეასწავლოს საჰაერო ხომალდებისა და საავიაციო ძრავების სისტემების ტექნიკური მომსახურება, დიაგნოსტიკის მეთოდები და რემონტის სახეობები და დაეუფლოს საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების პრაქტიკულ საქმიანობას;
- მოამზადოს თანამედროვე ტექნოლოგიების ცვლად გარემოში ორიენტირებული, სათანადო კომპეტენციის მქონე საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სპეციალისტი;

- შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური, კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი საავიაციო სპეციალისტის მომზადება, რომელსაც მიეცემა იმ სპეციალობით მუშაობის შესაძლებლობა, სადაც საჭიროა საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

## II. დაშვების წინაპირობა

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მეხუთე საფეხურზე სწავლის უფლება აქვს საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსის მეოთხე საფეხურის ავიატექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს.

პროგრამაზე სწავლების მოპოვების უფლება ასევე შესაძლებელია მობილობის ან შიდა მობილობის გზით საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

## III. სწავლის შედეგები

V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის სტუდენტი უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>სტუდენტმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საავიაციო კანონმდებლების მიერ გამოშვებული ბრძანებები, მითითებები და სხვა ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საავიაციო ტექნიკის საიმედო მუშაობას და ფრენების უსაფრთხოებას.</li> <li>- თვითმფრინავების და საავიაციო ძრავებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურებისადმი წაყენებული მოთხოვნები.</li> <li>- საჰაერო ხომალდების აეროდინამიკა და კონსტრუქცია, საავიაციო ძრავების თეორია და კონსტრუქცია, საფრენი აპარატების ტექნიკური ექსპლუატაცია, დიაგნოსტიკა და ობიექტური კონტროლის საშუალებები.</li> <li>- სისტემების დამახასიათებელი გაუმართაობები და მათი აღმოფხვრის მეთოდები.</li> <li>- საავიაციო ტექნიკის მომსახურების ტექნიკური დოკუმენტაცია და მათი წარმოების წესი.</li> <li>- ავიასანარმოს საქმიანობის მეტროლოგიური უზრუნველყოფის საკითხები.</li> <li>- საავიაციო ტექნიკის ექსპლუატაციის თავისებურებანი სხვადასხვა კლიმატურ და სეზონურ პირობებში.</li> <li>- საავიაციო მასალების თვისებები, მახასიათებლები და მათი დამუშავების მეთოდები.</li> <li>- ავიასაინჟინრო სამსახურის შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები მათი ამოცანების გზები.</li> <li>- საჰაერო ხომალდების, საავიაციო ძრავებისა და ფუნქციური სისტემების ძირითადი აგრეგატების, ნაკვეთურების, კვანძების და დეტალების დანიშნულება, მათი ტექნიკური მომსახურების და რემონტის ზოგადი</li> </ul>
-------------------------------------	---

	<p>თეორიული და პრაქტიკული საკითხები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საავიაციო ხელსაწყოების დანიშნულება, მოქმედების პრინციპები და გამოყენების წესები;</li> <li>- საავიაციო ტექნიკის მომსახურებისას შრომის დაცვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვის წესები.</li> </ul> <p>აცნობიერებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო დოკუმენტაციაში განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის აუცილებლობას;</li> <li>- საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების პროცესში მეხუთე საფეხურის ავიატექნიკოსის პროფესიული საქმიანობის მიმართ პასუხისმგებლობასა და შესაძლებლობებს.</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>ავიატექნიკოსს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- შეასრულოს ავიატექნიკის ტექნიკური მომსახურების ყველა სახეობა.</li> <li>- გაანალიზოს ძალური დანადგარების, საჰაერო ხომალდების სისტემების და აგრეგატების მუშაობა, მოახდინოს მათი დეფექტაცია და შეცვლა, აღმოაჩინოს გაუმართაობები და გამოიყენოს მათი თავიდან აცილების ეფექტური საშუალებები.</li> <li>- მოამზადოს საჰაერო ხომალდი ფრენისათვის და გამოიყენოს ტექნიკური მომსახურების მართვის ავტომატიზირებული სისტემა.</li> <li>- გამოიყენოს საკონტროლო-საზომი აპარატურა, ინსტრუმენტები და მექანიზაციის საშუალებები.</li> <li>- გააფორმოს ტექნიკური დოკუმენტაცია შესრულებულ ტექნიკურ მომსახურებაზე. დადგენილი წესით აწარმოოს საფრენი აპარატის შენახვა და მიღება-ჩაბარება ტექნიკურ მომსახურებაზე.</li> <li>- შეასრულოს სანვავ-საპოხი მასალების სააეროდრომო კონტროლი.</li> <li>- უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ნორმები.</li> <li>- გამოიყენოს შემეცნებითი და პრაქტიკული უნარები საჰაერო ხომალდების, ძრავების, სისტემების ტექნიკური მომსახურების, დაზიანებული დეტალების და კვანძების შეცვლის დროს სამომსახურო და სარემონტო დოკუმენტაციის შესაბამისად უფლებამოსილი პირის ზედამხედველობით;</li> <li>- მოახდინოს საავიაციო ტექნიკის დეფექტაცია, აღმოაჩინოს გაუმართაობები და გამოიყენოს მათი თავიდან აცილების ეფექტური საშუალებები;</li> <li>- გააფორმოს ტექნიკური დოკუმენტაცია შესრულებულ ტექნიკურ მომსახურებაზე დადგენილი წესით.</li> </ul>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>ავიატექნიკოსს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- შეუძლია განსხვავებულ სანარმოო სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების ანალიზი, საჭირო მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული წინადადების განხილვა და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა.</li> </ul>

<b>კომუნიკაციის უნარი</b>	ავიატექნიკოსს შეუძლია: <ul style="list-style-type: none"> <li>- დამოუკიდებლად გამოიყენოს ოპერატიულ ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ახალი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;</li> <li>- იღებებსა და პროფესიული ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის;</li> <li>- დარგში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ კომპეტენციის ფარგლებში, დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და წარდგენა ქართულ და ინგლისურ ენებზე.</li> </ul>
<b>სწავლის უნარი</b>	ავიატექნიკოსს შეუძლია: <ul style="list-style-type: none"> <li>- დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი სწავლის შემდგომი გავრძელების საჭიროება ცვალებად ვითარებაში, მათ შორის, ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამებზე „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ მიმართულებით.</li> </ul>
<b>ღირებულებები</b>	ავიატექნიკოსს შეუძლია: <ul style="list-style-type: none"> <li>- შეათვასოს თავისი და სხვების დამოკიდებულება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და ეს გაუზიაროს სხვებს;</li> <li>- პროფესიული ეთიკისა და მორალის პრინციპების დაცვა, სამუშაო პროცესის უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვაზე ზრუნვა.</li> </ul>

#### IV. დასაქმების სფერო

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შექმნილი ცოდნით კურსდამთავრებულს შეეძლება მუშაობა ავიაკომპანიებში, აეროპორტებში, საავიაციო ქარხნებში, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სხვა ძალოვან სტრუქტურებში, სადაც მოითხოვება საფრენი აპარატების და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსის მებუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

#### V. სასწავლო კურსების სწავლისა და სწავლების ფორმები

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესწავლა ხორციელდება ლექციებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ლაბორატორიული მუშაობის დროს, საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობისას. ამასთან სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს უზრუნველყოფილია პროგრამის შესაბამისად კომპონენტების შესწავლა.

სწავლების ფორმებია:

- **ლექცია** - სტუდენტებისადმი თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა სილაბუსით განსაზღვრული თემების ახსნა-განმარტების გზით.
- **პრაქტიკული მეცადინეობა** - ჯგუფთან სალექციო მასალის შესაბამისი პრაქტიკული ამოცანების, ზეპირი და ტესტური სამუშაოების, პრეზენტაციების, დისკუსიებისა და სხვა სამუშაოების ფარგლებში გამოვლენილი ცოდნის და უნარ-ჩვევების გამოვლენა და შეფასება;
- **სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა** - ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული ზოგადი თეორიული ცოდნის საწარმოო რეალიზაციაზე, გამომუშავებული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე.

- **დამოუკიდებელი მეცადინეობა** - სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ლექციებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე განხილული თემების ათვისება და შუალედური შემოწმებისა და დასკვნითი გამოცდებისათვის მომზადება.

## VI. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის, სტუდენტთა აქტიურად ჩართულობის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები.

1. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**- გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას სტუდენტისათვის ვერბალური გზით, რომლის დროსაც გამოიყენება კითხვა-პასუხის, ინტერაქტიური მუშაობის, პრაქტიკული სიტუაციის მოდელირების საფუძველზე თეორიული დებულებების ახსნის მეთოდები.
2. **დისკუსია/დებატები** – სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აქტიურად გამოხატონ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრი, ინტენსიურად ჩაერთონ დისკუსიაში და განახორციელონ საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული დაცვა;
3. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო პრაქტიკას.
4. **ჯგუფური მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება, ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
5. **პრეზენტაცია** ითვალისწინებს ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, რის გამოც სტუდენტები ვალდებული არიან მოიძიონ რელევანტური მასალები წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგინონ სლაიდ-შოუ. პრეზენტაციები შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.
6. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
7. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დანვრით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
8. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

9. ანალიზის მეთოდის გამოყენებით სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილება კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხის მანამდე უცნობ მხარეებს. ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, რაც ამარტივებს დასმული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ გაშუქებას.
10. სინთეზის მეთოდი - გულისხმობს ცალკეული საკითხების თავმოყრით მთლიანის შესახებ წარმოდგენის შექმნას. იგი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც „მთელი“ს დანახვის უნარის განვითარებას.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

## VII. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი	A - „ფრიადი“
მაქსიმალური შეფასების 81-90%	B - „ძალიან კარგი“
მაქსიმალური შეფასების 71-80%	C - „კარგი“
მაქსიმალური შეფასების 61-70%	D - „დამაკმაყოფილებელი“
მაქსიმალური შეფასების 51-60%	E - „საკმარისი“

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 41-50%	Fx - „ვერ ჩააბარა“
მაქსიმალური შეფასების 40%და ნაკლები	F - „ჩაიჭრა“

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. მის მიერ განეული პრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებას - 60 ქულა (ერთი შუალედური შემონემა და მიმდინარე შეფასება ან ორი შუალედური შემონემა);
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას - 40 ქულა.

სტუდენტთა შეფასების სქემა, პერიოდულობა და კრიტერიუმები მოცემულია თითოეულ სილაბუსში.

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტის ათვისებას ადასტურებს სილაბუსით დაგეგმილი სამუშაოების შესრულებაში მიღებული დადებითი შეფასება.

## VIII. გამოცდები

### დასკვნითი გამოცდა

ა) დასკვნითი გამოცდა (წერიითი ფორმით) ტარდება სასწავლო პროცესის კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში;

ბ) დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების ჯამური ქულისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა;

გ) დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 40;

დ) დასკვნით გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 5 ქულა და მეტი;

ე) თუ სტუდენტმა შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგების შეჯამების საფუძველზე დააგროვა 41-50 ქულა, მაშინ მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ვ) თუ დასკვნითი გამოცდის და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამი შეადგენს 40 და ნაკლებს, სტუდენტი დამატებით გამოცდაზე არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება „F” (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით. სტუდენტს შეუძლია ხელახლა შეისწავლოს სასწავლო კურსი.

### დამატებითი გამოცდა

ა) სტუდენტს უფლება აქვს დამატებით გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღის შემდეგ;

ბ) დამატებით გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 5 და მეტი ქულა;

გ) დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტი შეფასდება 0 ქულით და მისი სემესტრული შეფასება იქნება „F” (ჩაიჭრა);

დ) დამატებით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი შეფასება ავტომატურად განსაზღვრავს სტუდენტის შესაბამის სემესტრულ შეფასებას - 0 ქულა - „F” (ჩაიჭრა);

ე) თუ შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს „FX“-ს (ვერ ჩააბარა) ან „F“-ს (ჩაიჭრა) შესაბამის ქულებს, სტუდენტს შეუძლია ხელახლა შეისწავლოს სასწავლო კურსი.



IX. ავიატექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

N	კოდი	სასწავლო კურსი	დაშვების წინაპირობა	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება						სულ საათების რაოდენობა	სემესტრი		
					საკონტაქტო საათები							დამოუკიდებელი საათები	I	II
					ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შეჯიბვები/დასკვნითი შეფასებები	სულ საკონტაქტო				
1	P.DEP.2.5.1	პროფესიული ინგლისური ენა	წინაპირობის გარეშე	6	60				4	64	104	168	6	
2	P.ENG.2.5.1	საჰაერო ხომალდები, ტექნიკური მომსახურების ფორმები		6	60				4	64	104	168	6	
3	P.ENG.2.5.2	საავიაციო ძრავები, ტექნიკური მომსახურების ფორმები		6	60				4	64	104	168	6	
4	P.ENG.2.5.3	საჰაერო ხომალდებისა და ძრავების სისტემები და ტექნიკური მომსახურება		6	60				4	64	104	168	6	
5	P.ENG.2.5.4	საავიაციო ტექნიკის დიაგნოსტიკის მეთოდები		3	30				4	34	50	84	3	
6	P.ENG.2.5.5	საავიაციო ხელსაწყოები		3	20	10			4	34	50	84	3	
7	P.ENG.2.5.6	საავიაციო ტექნიკის რემონტის სახეობები და ფორმები	P.ENG.2.5.4	3	30				4	34	50	84		3
8	P.ENG.2.5.7	ფრენის თეორიის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	3	30				4	34	50	84		3
9	P.ENG.2.5.8	სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა	P.ENG.2.5.1; P.ENG.2.5.2; P.ENG.2.5.3; P.ENG.2.5.4; P.ENG.2.5.5	24			90	360	4	364	308	672		24
სულ				60	345	15	90	360	36	756	924	1680	30	30

## X. სწავლის შედეგების რუკა

N	სასწავლო კურსების დასახელება	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	პროფესიული ინგლისური ენა	X	X		X		
2	საჰაერო ხომალდები, ტექნიკური მომსახურების ფორმები	X	X	X	X		X
3	საავიაციო ძრავები, ტექნიკური მომსახურების ფორმები	X	X				
4	საჰაერო ხომალდებისა და ძრავების სისტემები და ტექნიკური მომსახურება	X	X	X	X		X
5	საავიაციო ტექნიკის დიაგნოსტიკის მეთოდები	X	X	X			X
6	საავიაციო ხელსაწყოები	X	X	X			
7	საავიაციო ტექნიკის რემონტის სახეობები და ფორმები	X	X	X		X	
8	ფრენის თეორიის საფუძვლები						
9	სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა	X	X	X	X	X	X

## XI. ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მონვეული სპეციალისტები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: კეთილმოწყობილი, მრავალსართულიანი სასწავლო კორპუსები; თანამედროვე კაბინეტ-ლაბორატორიები და აუდიტორიები; აეროდინამიკური მილი; საავიაციო ტექნიკის პრეპარირებული კონსტრუქციები და მოწყობილობები; საავიაციო ტექნიკური მომსახურების საწარმო; აეროპორტი „მიმინო“; თვითმფრინავები Boeing-737-200, Piper seneca, CESSNA, A-22; კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სწავლების პროცესისთვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამები); ლინგვაფონის კაბინეტი; ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, კომპიუტერული ტექნიკით.

**ადამიანური რესურსი**

<b>პროფესორ - მასწავლებლები</b>		
<b>N</b>	<b>სახელი გვარი</b>	<b>დაკავებული თანამდებობა</b>
1	ანდრო მაისურაძე	პროფესორი
2	კონსტანტინე ბროლაძე	პროფესორი
3	რობერტ ებრაელიძე	ასოცირებული პროფესორი
4	ჯემალ ბზარაშვილი	ასოცირებული პროფესორი
5	ნოდარ ხვედელიძე	ასისტენტი
6	მზია ედიბერიძე	მასწავლებელი

<b>მონვეული სპეციალისტები</b>		
<b>N</b>	<b>სახელი გვარი</b>	<b>დაკავებული თანამდებობა</b>
1	თეა ვეფხვაძე	მონვეული სპეციალისტი

**საგანმანათლებლო პროგრამის  
ხელმძღვანელი, ასისტენტი**

**ნ. ხვედელიძე**

შეთანხმებულია:  
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის  
უფროსი, პროფესორი  
-----ქ. დავითაძე

განხილულია  
საინჟინრო ფაკულტეტის  
საბჭოს სხდომაზე  
ოქმი N\_\_\_ „\_\_\_” \_\_\_\_\_ 2015 წ.  
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი  
----- გ. ცირეკიძე